ფონდი ანაწერის საქმე ფურცელი

287 1 292

საქაღალდე

ПАПКА ДЛЯ БУМАГ

287 1 292

დასკანირებულია 16 01 2025 1

23

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს

პროფესორ

აკაკი ~~ბესარიონის ძე~~ თოფურიას

დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და
ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის
50 წლისთავის აღსანიშნავად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიკის კათედრისაგან

თბილისი 1986

ძვირფასო ბატონო აკაკი!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრა გულითადად გილოცავთ თქვენი ცხოვრების შესანიშნავ თარიღს — დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

მთელი თქვენი შინაარსიანი ცხოვრება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ შეუნელებელი მიზანსწრაფული მოქმედების, თვითორგანიზებისა და დაუღალავი შრომის გზით რამდენად შეიძლება სრულყოს ადამიანმა თავისთავი ხალხის მსახურის რანგში. თქვენ ჭაბუკობიდანვე შეიცანით და განივითარეთ ბუნებისეული მიდრეკილება ახალგაზრდობისადმი სამსახურისა. თქვენს ცნობილ სამეცნიერო-მეთოდურ მონოგრაფიებში, ნარკვევებსა და საჟურნალო წერილებში ნაყოფიერად განაზოგადეთ პირადი გამოცდილება და გამოავლინეთ თქვენთვის დამახასიათებელი ერუდიცია. ისინი ყოველდღიურად ეხმარება სკოლას და მასწავლებელს სწავლა-აღზრდის რთული საქმის მეცნიერულ ორგანიზაციაში. ამ ხაზით თქვენი ხანგრძლივი და სამაგალითო ღვაწლი ღირსეულად აღინიშნა ი. გოგებაშვილის მედლით და გამორჩეული ნაშრომის შესრულებისათვის ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატის მაღალი წოდების მონიჭებით.

უაღრესად ფართო და შინაარსიანია თქვენი მოღვაწეობა მომავალი მასწავლებლის აღზრდის საქმეში. თქვენი თაოსნობით შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების კათედრა ნაყოფიერად და შემოქმედებითად ემსახურება სკოლისა და უნივერსიტეტის ჰარმონიული თანამშრომლობის სრულყოფას, ფილოლოგიის ფაკულტეტზე პედაგოგიური ატმოსფეროს განმტკიცებას, სკოლისათვის მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადებას.

ახალგაზრდობისათვის სანიმუშოა თქვენი ენერგიული მუშაობა, საქმისათვის მთელი სულიერი ძალებით შემართება და პრინციპული საქმიანობა.

პედაგოგიკის კათედრა სულითა და გულით გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალგაზრდულ მხნეობას, ახალ მიღწევებს სწავლების პროცესის კვლევისა და მის მაღალ დონეზე პრაქტიკულ ორგანიზაციის საქმეში.

თხუ პედაგოგიკის კათედრა